



# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№ 4-5 (№178-179)

● აპრილი-მაისი 2016 წალი



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა და საჯარო ლექცია წააკითხა თემაზე — დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე.

ქვეყნის პირველმა პირმა ევროპული სახელმწიფოს მნიშვნელობაზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებზე, ქვეყნის ევროპულ არჩევანზე, სახელმწიფოს ევროპული სისტემით მოწყობაზე და ქრისტიანულ რელიგიაზე, როგორც ქვეყნის ევროპული მოწყობის ნაწილზე.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა ლექციაზე განაცხადა, წელს საქართველოში დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილე აღინიშნება და სწორედ ამიტომ წლევეანდელი წელი ევროპული სახელმწიფოს წლად გამოცხადდა. დღეს ქვეყანა დგას იმ გზაზე, რომელსაც დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა ჰქვია.

პრეზიდენტმა არჩევანის თავისუფლებაზეც ისაუბრა და მოქალაქეებს არჩევნებში აქტიური ჩართულობისაკენ მოუწოდა.

გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც ძირითადად განათლების სისტემას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, პარლამენტის ქუთაისში საქმიანობას, იმერეთის რეგიონისა და ქუთაისის განვითარებას შეეხებოდა.

პრეზიდენტის საჯარო ლექციის შემდეგ, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს ისეთი ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნება უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების, ახალი თაობების სრულფასოვანი აღზრდის ხელშეწყობისა და მათი წახალისების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრივი ღირებულებების განმტკიცებისაკენ.

\*\*\*

2 აპრილს, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციისა და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის „რადიქსი“-ის ორგანიზებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, რეზიდენტებისათვის, ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში მომუშავე ექიმო სტომატოლოგებისათვის, ჩატარდა პრაქტიკული

კონფერენცია, სადაც განიხილეს სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე საკითხები. აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა უახლესი ინფორმაციული მონაცემები სამედიცინო საქმიანობაში სამართლებრივ-იურიდიული საკითხების შესახებ, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების, აღრიცხვისა და შენახვის ნორმატივები.

\*\*\*

6 - 7 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნორვეგიისა და ყირგიზეთის უნივერსიტეტების დელეგაციებს მასპინძლობდა. უცხოელი პროფესორები, აწსუ-ს, ბათუმის სახელმწიფო და ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტების ერთობლივი საგანმანათლებლო საგრანტო პროექტის: „მდგრადი ტურიზმი: სოფლად მეწარმეობა და კულტურული მემკვიდრეობა. ყირგიზეთის, საქართველოსა და ნორვეგიის შორის განათლების სფეროში თანამშრომლობა“ ფარგლებში ეწვევნენ.

თულების პროფესორებმა, სტუმრებს აწსუ-ს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, სამკითხველო დარბაზები, ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდი და უნიკალური გამოცემები და FABLAB-ი დაათვალიერებინა.

სტუმრებს შეხვდნენ აწსუ რექტორი გიორგი ლავთაძე და რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე და სამომავლო ურთიერთობებზე ისაუბრეს. უნივერსიტეტის სახელით მათ სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

აწსუ აგრარული ფაკულტეტის ტურიზმის მიმართულების სტუდენტებმა სტუმრებს ჩაუტარეს მოკლე ექსკურსია ქალაქის ისტორიულ ნაწილში.



\*\*\*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

აწსუ საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პროფესორ სულხან კუპრაშვილის საჯარო ლექცია „9 აპრილი და ქართული ცნობიერება“. ლექციას დაესწრნენ აწსუ სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები. ღონისძიებაზე ნაჩვენებია იყო თომა ჩაგელიშვილის ფილმი „9 აპრილის საიდუმლო“.



\*\*\*

10 - 11 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდნენ სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუდიტ მალკაჰი და აწსუ - ს საპატიო პროფესორი კეროლიან მაკლუკენი. ვიზიტის მიზანი აწსუ-სა და სამხრეთ უელსის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის

განხილვა, მომავალი პერსპექტივების დასახვა იყო.

პროფესორმა ჯუდიტ მალკაჰმა სემინარი ჩაუტარა პედაგოგიური ფაკულტეტის ლექტორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ამ დარგში მომუშავე სკოლის პედაგოგებს ინკლუზიური განათლების პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.



\*\*\*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, წელს პირველად, საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში „განათლება საზღვრების გარეშე“ მიიღო მონაწილეობა, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა. გამოფენაში მონაწილეობდა ასევე 100-ზე მეტი უნივერსიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან (ბრიტანეთი, აშშ, კანადა, გერმანია, ჩეხეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და სხვა).

ამ ღონისძიებას. მასპინძლებმა დიდი დაინტერესება გამოიჩინეს შავი ზღვის მოსაზღვრე საქართველოს მიმართ და ბულგარელი სტუდენტებისა და აბიტურიენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღების დიდი იმედი გამოთქვეს.

გამოფენა წარმოადგენს უცხოური სასწავლო დაწესებულებებისათვის საერთო ღია კარის დღეს, რომელიც საშუალებას იძლევა, მიიღო ამომწურავი ინფორმაცია საგანმანათლებლო სფეროს შესახებ, საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, პირადად შეხვდე 100-ზე მეტი უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ორგანიზაციებს, რომლებიც გთავაზობენ გაცვლით პროგრამებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, შეიტყო სწავლის დაფინანსების შესაძლებლობების, სტიპენდიებისა და გრანტების შესახებ.



\*\*\*

20 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტმა კრეატიული პროექტი „სტუმრად ექიმებთან“ დაიწყო. პროექტის მიზანი სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება და მათ სულიერებაზე ზრუნვაა. შემთხვევითი არ იყო, რომ პირველ სტუმარს დ.ნაზარიშვილის სახლ-მუზეუმმა უმასპინძლა. ფაკულტეტის სტუდენტები ინტერესით გაეცნენ ღვაწლმოსილი ექიმის დ. ნაზარიშვილის მოღვაწეობას და მის დამსახურებას ქართული მედიცინის წინაშე.

ამიტომაც იყო, რომ შესაბამისი განწყობით და გულახდილი საუბრისათვის მომზადებულნი შეხვდნენ პროექტის პირველ სტუმარს ქალბატონ დო-

ლო შელიას. საუბარი კი ნამდვილად შედგა. შეკითხვები არ მთავრდებოდა და ქნი დოლოც სიამოვნებით მოგზაურობდა წარსულში. ის დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე იძლეოდა რჩევებს მომავალი ექიმებისათვის. მედიცინის ფაკულტეტი მადლობას უხდის დ. ნაზარიშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს თბილი მასპინძლობისათვის, ქნი დოლოს საინტერესო სადამოსთვის და სტუდენტებს აქტიური ჩართულობისთვის. ვიმედოვნებთ, პროექტს „სტუმრად ექიმებთან“ მომავალშიც არაერთი საინტერესო სტუმარი ეყოლება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს პარმონიულ განვითარებაში.



\*\*\*

საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტში გამართული გამოფენა.

სტუდენტების ნამუშევრები, უჩვეულო მიდგომებისა და ტრადიციულ ელემენტებზე აგებული სამოსის პრეზენტაცია.



\*\*\*

სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენელთა მრავალმხრივი შემოქმედება, ორიგინალური ნამუშევრები და განსხვავებულ ამპლუაში მყოფი ექიმები, თეთრი ხალათების გარეშე.

ხელნაკეთი თოჯინები, მინანქარში შესრულებული ნივთები, პერფორმანსი „მზუდავენივლი“, ეს ის ჩამონათვალი, რომელთა ნახვაც შეძლებ აწსუ სამკითხველო დარბაზში.



\*\*\*

აწსუ ART-ინსტალატორების კლუბის მიერ წარმოდგენილი კომპოზიცია, აწსუ Fab Lab-ის მიერ შექმნილი პროდუქცია, ეკოლოგიის კუთხით გამართული სტუდენტური კონფერენცია, ქუთაისის სკოლების მიერ გარემოსდაცვით საკითხებზე შექმნილი პოსტერების

გამოფენა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ღია კარის დღე, ეს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალია, რაც უნივერსიტეტში 22 აპრილს - დედამიწის დღის აღსანიშნავად გაიმართა.



\*\*\*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვ. ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრმა, 25 აპრილს საერთაშორისო პროგრამების UGRAD, SUSI (აშშ) და ERASMUS (ევროკავშირის), მონაწილე სტუდენტთა პრეზენტაცია გამართა. დაინტერესებულ სტუდენტებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს: თამთა ამირანაშვილმა, როგორც ამერიკული გაცვლითი პროგრამის UGRAD-ის მონაწილემ. მან ისაუბრა მინესოტას შტატში, ქ. კარბონდეილში (აშშ), უნივერსიტეტში გატარებული ბაკალავრიატის ორი სემესტრის შესახებ. თამთა დღეს, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის დოქტორანტია. მან გააცნო სტუდენტებს პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები და სპეციფიკა. თამარ კეთილაძე ორი საერთაშორისო პროგრამის მონაწილეა. მან ვრცლად ისაუბრა ლიდერ სტუდენტთა გაცვლითი ამერიკული პროგრამის (SUSI) შესახებ, რომელსაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებს და შუამდგომლობს აშშ საელჩო საქართველოში. მან აუხსნა სტუდენტებს, თუ როგორ შეიძლება პროგრამაში მონაწილეობის მიღება. თამარ კეთილაძე ერასმუს მუნდუსის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით იაშის უნივერსიტეტშიც (რუმინეთი) იმყოფებოდა.

სალომე ხურციძემ, ერასმუს მუნდუსის საერთაშორისო პროგრამის მონაწილემ და ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის კურსდამთავრებულმა, ისაუბრა გრაცის უნივერსიტეტში (ავსტრია) მიღებული გამოცდილების შესახებ. მან პასუხი გასცა სტუდენტთა შეკითხვებს. ნანო კირთაძე სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტია, რომელიც ერასმუს მუნდუსის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით ტალინის უნივერსიტეტში (ესტონეთი) სწავლობდა. სპეციალობიდან გამომდინარე, მან ბევრი ახალი ინფორმაციის შექმნა მოუხდა, რომელსაც კარგად გაართვა თავი. მან მნიშვნელოვანი რჩევები მისცა საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს. სალომე ძაგნიძე ახლახანს დაბრუნდა გრონინგენის უნივერსიტეტიდან (ნიდერლანდები), სადაც ერასმუს მუნდუსის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა. საკუთარი შთაბეჭდილებები, რომლებიც ჯერ კიდევ ახალია, მან სიამოვნებით გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას. ყველა მომხსენებელმა პასუხი გასცა მსმენელთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. ვფიქრობთ, მათ მიერ გაწეული კონსულტაციები ღიად დაეხმარება საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს.

# ქართული ენის დღე ახალი წართლის სახელმწიფო უნივერსიტეტში



სახელმწიფო ენის დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიემდგვნა კვირეული, რომელიც 12 აპრილს გაიხსნა და სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებით გაგრძელდა. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი „ვინ უკეთ წერს“, რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტის 31 სტუდენტი მონაწილეობდა. ჟიურიმ (წევრები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. ლუკა დვალისვილი, ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი პროფ. რუსუდან საღინაძე, პროფ. ნესტან კუტივაძე, ასოც. პროფ. ეკა დადიანი) გამოავლინა სამი გამარჯვებული: I ადგილი – ლიკა თევგეტაშვილი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენა და ლიტერატურა, III კურსი), II ად-

გილი – ნინო მატარაძე (ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართალი, I კურსი) III ადგილი – ილია გორდულაძე (ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართალი, II კურსი). დიდი ინტერესი გამოიწვია ტრადიციულმა ვიქტორინამ „თუ დაივიწყე ენა ქართული!“ გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი: I ადგილი – გუნდი „5+1“ (ვახტანგ გოგისვანიძე, თამარ კვირიკაშვილი, ნინო მიდელაშვილი, ნინო შონია, თამარ გოგია, ლილე ბერაძე), II ადგილი – გუნდი „ორიგამი“ (ანა ლიპარტელიანი, მელანო კობახიძე, ვიოლეტა კუჭუხიძე, თამარ ასათიანი, ჟანა ბზიკაძე, სალომე გოგინავა), III ადგილი – გუნდი „გადინდუსტრიალებულ-

თაგანისებურები“ (ფიქრია ჭანტურია, ლიკა თევგეტაშვილი, დავით შანიძე, ქეთევან ქათამაძე, მარიამ თირქია, ანა თორია). 14 აპრილს სტუდენტებმა განახორციელეს აქცია – უნივერსიტეტისა და ქალაქის მასშტაბით დაარიგეს ბუკლეტები ქართული ენის შესახებ ცნობილ მოღვაწეთა გამონათქვამებითა და მართებული ენობრივი ფორმებით. დასკვნითი ღონისძიება – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „გზა ქართული ენისა“ აწესდა სააქტო დარბაზში გაიმართა. ღონისძიების ბოლოს აწესდა ადმინისტრაციის მიერ დაჯილდოვდნენ კონკურსისა და ვიქტორინაში გამარჯვებული სტუდენტები, მათ აწესდა ინოვაციების ლაბორატორიის (FABLAB) მიერ დამზადებული ორიგინალური

სახუკრები გადაეცათ. კვირეული ორგანიზებული იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულების, სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის მიერ. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის დასკვნითი ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა აწესდა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა – „კოლხამ“ და „ადილამ“, პედაგოგიური ფაკულტეტის გოგონათა გუნდმა.

**თამარ ნინიძე**  
ქართული ენის მიმართულების სპეციალისტი



# მოსწავლა ახალგაზრდობის სასახლის სალიბრატიო ენის ნორმათა შემსრავლებელი წრის ხონჯარენცია



2016 წლის 27 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულებისა და სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის ორგანიზებით ჩატარდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამედროვე ქართული სალიბრატიო ენის ნორმათა შემსრავლებელი წრის კონფერენცია სალიბრატიო ენის ნორმათა პრობლემურ საკითხებზე. კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქმეს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა იზოლდა რუსაძემ, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორმა ქალბატონმა

მარინა გვეტაძემ, თანამედროვე ქართული სალიბრატიო ენის ნორმათა შემსრავლებელი წრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნარგიზ ჩეჩელაშვილმა, კოორდინატორმა ქალბატონმა ია ვერულაშვილმა, ჰუმანიტარული განყოფილების ხელმძღვანელმა ქალბატონმა მაია ასათიანმა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლობა ქართული ენის მიმართულებასთან ტრადიციულია. ხუთი წელია, აღნიშნული კონფერენცია სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ტარდება, წელს კი ქართული ენის კვლევით და ინტერესებულ ახალგაზრდებს უნივერსიტეტმა შეეძინა უმასპინძლა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ

მოსწავლეები: მაია გოგრიტიანი (მე-40 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი), ნიკოლოზ ახვლედიანი (მე-2 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი), გვანცა ცუცხაშვილი (41-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა, მე-12 კლასი), მარიამ ახვლედიანი (მე-2 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი), ჯემალ სინატაშვილი (მე-8 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი), ნინო ფურცხვანიძე (მე-3 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), მარინა მადრაძე (მე-13 რუსული საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), ნანა ჩიქვილაძე (35-ე საჯარო სკოლა, მე-12 კლასი), ნათია ფრუიძე (მე-7 საჯარო სკოლა, მე-7 კლასი), ნინო ტყეშელაშვილი (მე-3 საჯარო სკოლა, მე-8 კლასი), ლიკა სახუაძე (მე-40 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი), მაია ჩხილაძე (35-ე საჯარო სკოლა, მე-12 კლასი). მოსწავლეთა მიერ განსაკუთრებული მონდობით წარმოდგენილმა მოსწავლეებმა აუდიტორიის მოწონება დაიმსახურა, სტუდენტებმა დასვეს საინტერესო შეკითხვები. მონაწილეები საპატიო სიგელებითა და წიგნებით დაჯილდოვდნენ.

**თამარ ნინიძე**  
ქართული ენის მიმართულების სპეციალისტი



\*\*\*



19 მაისს ჩატარებული კონფერენციით, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ყარაგანდის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა (ყაზახეთი) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ათობით სტუდენტი. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ აწსუ რექტორი პროფ. გ. ლავთაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. ი. ფხაკაძე, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დ. შელია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უნარ - ჩვევების ცენტრის დირექტორი, ასოც. პროფ. ლუიზა გაბუნია. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მუშაობა კლინიკური მედიცინის, თეორიული მედიცინის, სტომატოლოგიისა და ფარმაციის სექციებში. ვიურის მიერ შერჩეული საუკეთესო შრომების დაჯილდოება გაიმართა 11 ივნისს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამი უნივერსიტეტის (თსუსუ, აწსუ, ბსუ) მიერ ორგანიზებულ ერთობლივ კონფერენციაზე. უკანასკნელი აქტივობა გააღრმავებს ეროვნულ დონეზე რამდენიმე უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უმაღლესი სამედიცინო განათლების განვითარებას.

აწსუ მედიცინის ფაკულტეტისათვის კვლევის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა პრიორიტეტულია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 2016 წლის

\*\*\*



24 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისში თურქული კულტურის ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „დიადქტების კვლევის კულტურულ - ენობრივი

მნიშვნელობა და მისი როლი თურქულ ენაში.“ აწსუ - ს გარდა, პროფესორი მუჰარემ ონალანი ლექციებს წაიკითხავს თბილისის, ბათუმისა და სამცხე - ჯავახეთის უნივერსიტეტებში.

\*\*\*

24 მაისს გაიმართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. მასში მონაწილეობდა 132 სტუდენტი. სექციურ მუშაობებს ხელმძღვანელობდნენ: ასოც. პროფ. სერგო

სვანაძე, პროფ. ემზარ ჯულაყიძე, ასოც. პროფ. იზოლდა გაბადაძე და ასოც. პროფ. იულია ონიანი. საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებები, რომლებიც ეხებოდა დიკცონარული ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.



\*\*\*

25 მაისს აწსუ სააქტო დარბაზში ბაიარ შაჰინის კონცერტი გაიმართა, ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და ჩატარდა უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში. საღამოს ორგანიზატორი გახლდათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.



მომღერალმა მსმენელს შესთავაზა ახალი სიმღერა „მენატრები ჩემო სულო“, რომლის კლიპის პრეზენტაცია ჩვენს უნივერსიტეტში შედგა. ბაიარ შაჰინის სიმღერამ, რომელშიც საქართველოდან გადახვეწილი ქართველის სულის ტკივილია გადმოცემული, მსმენელი მონუსხა.

ბაიარ შაჰინმა თავისი შეუდარებელი პანგებით, ჩვენამდე მოიტანა „ჩვენებურების“ მითი გამთბარი ოცნება.

უნივერსიტეტის პრორექტორმა შალვა კირთაძემ სტუმარს საჩუქრები გადასცა-

წიგნი საქართველოს შესახებ და კალამი, რომელზეც ჩვენი სტუდენტების ხელით ამოტვიფრულია - „ბაიარ შაჰინი“.

ეს საღამო გახლდათ ქართული გენის, ქართული სულის აღზევების, ძლიერების, დვითისმოსაფობისა და სათნოების მაგალითი.

# სტუდენტთა XXVI სამეცნიერო კონფერენცია (ბახალავრთა და მაგისტრანტთა)



10-11 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ყოველწლიური სტუდენტთა (ბაკალავრთა და მაგისტრანტთა) XXVI სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სამეცნიერო დონისძიებების ორგანიზაციის სექტორი. აღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია დააფინანსა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია მუშაობდა ორი დღის განმავლობაში, სულ კონფერენციის მსვლელობაში ჩართულნი იყვნენ 53 სექცია, სადაც 770 სტუდენტმა წარმოადგინა სამეცნიერო მოხსენებები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას, მაგრამ მიმდინარე წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი აქტივობა. აღნიშნული კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ექვსმა სტუდენტმა, რაც ჩვენს ორ უნივერსიტეტს შორის ტრადიციად იქცა.

პლენარული სხდომა გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა გიორგი ჩირაძემ. სტუდენტებს და ლექტორ-მასწავლებლებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი დავითაძე, რომელმაც წარმოადგინა წინა წლებისა და 2016 წლის სტატისტიკა. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა: "ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტური მეცნიერული მუშაობა მაღალ აკადემიურ დონეზეა, რაც გამოიხატება წლიდან წლამდე სტუდენტთა აქტიური ჩართულობა და წაკითხული მოხსენებების რაოდენობა, 754 სტუდენტისგან ამა თუ იმ საკითხის ღრმად წარმოჩენა, ეს თვით სტუდენტისა და ასევე ლექტორ-მასწავლებელთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგია! სამეცნიერო სექტორის დამსახურებაა ჩამოსული სტუდენტთა ზრდა, თუკი 2015 წელს მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გაეყავნენ სტუმრად, 2016 წელს სტუმრად ჩამოვიდნენ როგორც ბათუმის, ასევე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რაც თავის მხრივ მისასალმებელია". რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორმა შალვა კირთაძემ სტუდენტებს მიულოცა სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა და თავისი გამოცდილებით შეახსენა მათ, თუ რა მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის სამეცნიერო მუშაობა, მისი უნარ-ჩვევების გამოუმუშავება და შეახსენა კიდევ, რა სიხარულია, როდესაც სტუდენტი თავის სახელსა და გვარს ამოიკითხავს სამეცნიერო კონფერენციის პროგრამაში. პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ პუბლიკატურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის, ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი რუსუდან სალინაძე, რომელიც მიესალმა კონფერენციაზე მონაწილე სტუდენტებს, ჩამოსულ სტუმრებს და მომავალში უცხოელი სტუდენტთა ჩართულობის სურვილიც კი გამოთქვა, რაც უფრო მასშტაბურს და ეროვნულს გახდის ჩვენს კონფერენციას; ასევე სიტყვით გამოვიდა ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ეკატერინე არჩვაძე. მან დადებითად შეაფასა სტუდენტთა აქტივობა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორა, ლექტორ-მასწავლებლები, ყველანი აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტების მეცნიერულ აღზრდაში და ჩამოყალიბებაში, მის სექციაში, როგორც ენაში, ასევე ინგლისურ ლიტერატურაში 27 სტუდენტი დებულობდა მონაწილეობას. პედაგოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნინო ორჯონიკიძე მიესალმა ჩამოსულ სტუმრებს და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობას და მადლობა გადაუხადა მათ, რადგან აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო საქმიანობაში და თავიანთ დონეს პროფესორისა და ლექტორ-მასწავლებლების დახმარებით იმაღლებენ. პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნანა ჯაბინიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ წლებია სტუმრად ჩამოვდის თავის სტუდენტურ გუნდთან ერთად და მადლობელია იმ ურთიერთობების, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტს და სტუდენტებს ერთმანეთთან აკავშირებს და ამგვობრებს. მადლობა გამოთქვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტუდენტური დონისძიებების სექტორის მიმართ, რადგან არასოდეს არ გვეტოვებს და ყოველთვის გვიგზავნის სინფორმაციო წერილს საუნივერსიტეტო სტუდენტურ კონფერენციის შესახებ!" ჩვენც აქტიურად ვმუშაობთ და ჩამოვიდეთ, ვმუშაობთ, ვმეგობრობთ. მომავალში კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე არჩვაძე, სექციის თავმჯდომარე სტუდენტი-ლალი კვანტალიანი; სექციის მუშაობა მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 27 მოხსენებელმა. სტუდენტებმა წარმოადგინეს ძალზე საინტერესო და თემატურად მრავალფეროვანი მოხსენებები თანამედროვე ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებზე. პრეზენტაციებისას მოხსენებლებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები, რამაც კონფერენციის მიმდინარეობა კიდევ უფრო საინტერესო გახადა. 27 მოხსენებელიდან გამოიყო 8 მოხსენებლისა და მათი ხელმძღვანელის მიერ დამუშავებული თემა, რამაც სექციის მუშაობას შემატყობა კონკურენტუნარიანობა სტუდენტებს შორის, რაც მომავლისთვის კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიწვევს სტუდენტებში. აქვე წარმოვადგინეთ იმ მოხსენებელთა გვარებს, რომელთა თემებმა განსაკუთრებით მიიპყრეს ყურადღება, როგორც მაღალ დონეზე შესრულებულმა შრომებმა და იმსახურებენ სიკვლეოს მიღწეული წარმატებისთვის: სვეტლანა ჯულაყიძე (მაგისტრანტი, II კ); შორენა ვაშაყიძე (მაგისტრანტი, I კ); ლანა ალაყიძე (ბაკალავრიატი, III კ); ნინო ახობაძე (ბაკალავრიატი, IV კ); თათია მიქაძე (ბაკალავრიატი, IV კ); მარი ყვავაძე (ბაკალავრიატი, IV კ); სალომე ქარჩხაძე (ბაკალავრიატი, IV კ); ელენე ხურცია (ბაკალავრიატი, III კ);



ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე არჩვაძე, სექციის თავმჯდომარე სტუდენტი-ლალი კვანტალიანი; სექციის მუშაობა მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 27 მოხსენებელმა. სტუდენტებმა წარმოადგინეს ძალზე საინტერესო და თემატურად მრავალფეროვანი მოხსენებები თანამედროვე ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებზე. პრეზენტაციებისას მოხსენებლებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები, რამაც კონფერენციის მიმდინარეობა კიდევ უფრო საინტერესო გახადა. 27 მოხსენებელიდან გამოიყო 8 მოხსენებლისა და მათი ხელმძღვანელის მიერ დამუშავებული თემა, რამაც სექციის მუშაობას შემატყობა კონკურენტუნარიანობა სტუდენტებს შორის, რაც მომავლისთვის კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიწვევს სტუდენტებში. აქვე წარმოვადგინეთ იმ მოხსენებელთა გვარებს, რომელთა თემებმა განსაკუთრებით მიიპყრეს ყურადღება, როგორც მაღალ დონეზე შესრულებულმა შრომებმა და იმსახურებენ სიკვლეოს მიღწეული წარმატებისთვის: სვეტლანა ჯულაყიძე (მაგისტრანტი, II კ); შორენა ვაშაყიძე (მაგისტრანტი, I კ); ლანა ალაყიძე (ბაკალავრიატი, III კ); ნინო ახობაძე (ბაკალავრიატი, IV კ); თათია მიქაძე (ბაკალავრიატი, IV კ); მარი ყვავაძე (ბაკალავრიატი, IV კ); სალომე ქარჩხაძე (ბაკალავრიატი, IV კ); ელენე ხურცია (ბაკალავრიატი, III კ);

ორგანიზებულად მიმდინარეობდა ბიზნესის, სამართლისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების სექციის მუშაობა, რომლის ხელმძღვანელმა ასოცირებული პროფესორმა სერგო სვანაძემ, საინტერესო და აქტუალური საკითხები წამოწია, სტუდენტებისათვის და ასევე სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სტუდენტთა სამეცნიერო დონისძიებების ფეკულტურად და აკადემიურად წარმატებისათვის, რაც თავის მხრივ, მომავალში გასათვალისწინებელი და მისაღებია, როგორც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, ასევე ლექტორ-მასწავლებლებისათვის.

10 და 11 მაისს, ორი დღის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა 53 სექცია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ სექციის ხელმძღვანელებმა სამეცნიერო ცენტრს წარუდგინეს კონფერენციაში მონაწილე სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) სამეცნიერო კონფერენციების სექტორის ხელმძღვანელმა, ასისტენტ პროფესორმა რამაზ ხაჭაპურიძემ. საინტერესოდ წარმოგვიჩვენა ქართული ენის სექციის მუშაობა. აღნიშნულ სექციაში ერთმანეთს ეხვედნენ და მეცნიერულად ეკავებოდნენ საქართველოს ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ. ქუთაისისა და ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები, აღნიშნულმა სხდომამ დიდი ინტერესითა და ემოციით ჩაირა. ქართული ენის სექციის ქუთათურმა სტუდენტებმა და ხელმძღვანელებმა, ლექტორ-მასწავლებლებმა, პროფესორებმა: მარინე ქაცარავამ და რუსუდან სალინაძემ, ასოცირებული პროფესორებმა იზოლდა რუსაძემ, ეკატერინე დადიანმა და მალია მიქაშაძემ იმერული სტუმართმასპინძლობითაც გამოიჩინეს თავი.

კონფერენციაზე საინტერესო და აქტუალური თემებით წარდგნენ ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე არჩვაძე, სექციის თავმჯდომარე სტუდენტი-ლალი კვანტალიანი; სექციის მუშაობა მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 27 მოხსენებელმა. სტუდენტებმა წარმოადგინეს ძალზე საინტერესო და თემატურად მრავალფეროვანი მოხსენებები თანამედროვე ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებზე. პრეზენტაციებისას მოხსენებლებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები, რამაც კონფერენციის მიმდინარეობა კიდევ უფრო საინტერესო გახადა. 27 მოხსენებელიდან გამოიყო 8 მოხსენებლისა და მათი ხელმძღვანელის მიერ დამუშავებული თემა, რამაც სექციის მუშაობას შემატყობა კონკურენტუნარიანობა სტუდენტებს შორის, რაც მომავლისთვის კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიწვევს სტუდენტებში. აქვე წარმოვადგინეთ იმ მოხსენებელთა გვარებს, რომელთა თემებმა განსაკუთრებით მიიპყრეს ყურადღება, როგორც მაღალ დონეზე შესრულებულმა შრომებმა და იმსახურებენ სიკვლეოს მიღწეული წარმატებისთვის: სვეტლანა ჯულაყიძე (მაგისტრანტი, II კ); შორენა ვაშაყიძე (მაგისტრანტი, I კ); ლანა ალაყიძე (ბაკალავრიატი, III კ); ნინო ახობაძე (ბაკალავრიატი, IV კ); თათია მიქაძე (ბაკალავრიატი, IV კ); მარი ყვავაძე (ბაკალავრიატი, IV კ); სალომე ქარჩხაძე (ბაკალავრიატი, IV კ); ელენე ხურცია (ბაკალავრიატი, III კ);

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სტუდენტთა სამეცნიერო დონისძიებების ორგანიზაციის სექტორის ხელმძღვანელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

რამაზი ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სტუდენტთა სამეცნიერო დონისძიებების ორგანიზაციის სექტორის ხელმძღვანელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

# სტუმრობა ინგლისური ენის ცენტრში ორჯირიანი სამსახურო ვიზიტი



ქუთაისის ინგლისური ენის ცენტრი ძლიერი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახალგაზრდების არამარტო ინგლისური ენის დონეს აუმჯობესებს, არამედ მათ ზოგად ცოდნასა და ინტერკულტურულ გამოცდილებასაც აძლევს. ინგლისური ენის ცენტრის გამორჩეულად მაღალ დონეს მისი კიდევ ერთი სტუმრობის დროს ვეზიარეთ. ცენტრში მისვლამდე გვითხრეს, რომ მოსწავლეები სიხარულით გველოდნენ და ჩვენთან შესახვედრად განსაკუთრებულად მოემზადნენ.

ინგლისური ენის ცენტრში მისვლის შემდეგ პირველად თავი ცენტრის ყველაზე პატარა მოწაფეებმა წარმოგვიდგინეს. ჩვენთვის პროგრამა მოემზადებინათ, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველა ის ფაქტი, რაც ამერიკის შესახებ უკვე შეესწავლათ - დაწყებული ქრისტოფერ კოლუმბის საზღვაო ექსპედიციებით ამერიკის ნაციონალური სიმბოლოებით - თეთრთავა არწივითა და მუხის ხით დამთავრებული. მოწაფეებმა ამერიკულ დღესასწაულებზეც ისაუბრეს, რომელთაგან განსაკუთრებული ინტერესით „მადლიერების დღე“ გამოვეს. როგორც აღმოჩნდა, ისინი ყოველ შემოდგომას აღნიშნავენ ამ დღესასწაულს. მოწაფეების წარმოდგენა ვიდეოებისა და პრეზენტაციის თანხლებით მიმდინარეობდა. ყველა ფეხზე წამოდგა, როდესაც ამერიკის დროშა შემოიტანეს და ამერიკის ნაციონალური ჰიმნიც შეასრულეს. დიდი მონდობით ვიმდერეთ ერთად „ჩემი ძვირფასი კლემენტინა“ და „როცა კოლუმბი მიცურავდა ლურჯ ზღვაში“.

განსაკუთრებით მოვიხიბლეთ ნიუ მექსიკოს, ჩვენი მშობლიური შტატის პოსტერით, რომელზეც ქალაქ ალბუ-

კერკის ცენტრის ფოტო იყო. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ფოტო ჩვენი აივნის ფანჯრიდან იყოს გადაღებული. სიმბოლო დროშაზე ადგილობრივი ინდიელების კულტურიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ის ასევე შხის სიმბოლოა შტატის თითოეული მოქალაქისთვის. პროგრამაში ყველა მოწაფე მონაწილეობდა, ზოგიერთმა მათგანმა ჯორჯ ვაშინგტონის და ბეტსი როსის როლებიც კი მოირგო.

პატარა მოწაფეების პრეზენტაციის დასრულების შემდეგ უფროსმა სტუდენტებმა კითხვები დაგვისვეს ამერიკის და საქართველოში ჩვენი შთაბეჭდილებების შესახებ. ერთ-ერთმა სტუდენტმა გვითხრა რა მოგეწონს და რა არ მოგეწონს საქართველოში. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მოხიბლულები ვართ მდიდარი ქართული კულტურით, მეგობრული და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხით, თუმცა ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ეს შანსი, რომ თამბაქოს დამლუპველ ზეგავლენაზე გვესაუბრა. ეს საკითხი მოგვიანებით გაგვახსენდა. როგორც გვითხრეს, ეს ბრწყინვალე წარმოდგენა სტუდენტების მონდომების და ენთუზიაზმის შედეგი იყო, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ მათმა არჩევულებრივმა მასწავლებელმა მაღლენ გიორგაძემ დიდი შრომა გასწია, რომ შეხვედრა ასეთი შთამბეჭდავი ყოფილიყო. უკვე მესამედ ვეწვიეთ ინგლისური ენის ცენტრს და იმედი გვაქვს, რომ 2017 წელსაც ვესტუმრებით.

*სახიამონო მოგონებებითა და კუთხილი სურვილებით  
თქვენი მეგობრები*

**პროფესორები  
ჯეიმს და კონი ტორსონები**

2016 წლის მარტში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის (აშშ) ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის პროფესორების - ჯეიმს და კონი ტორსონების ვიზიტი აწსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტში. ვიზიტი დატვირთული გრაფიკის ფარგლებში წარიმართა. აწსუ-ში ჯეიმს ტორსონი ამერიკულ ლიტერატურაში უტარებდა ლექცია-სემინარებს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებს. მათ მიეცათ შესანიშნავი შესაძლებლობა დასწრებოდნენ ლექციებსა და სემინარებს მე-20 საუკუნის თვალსაჩინო მწერლების - კურტ ვონეგუტისა და ლესლი სილკოს შემოქმედების შესახებ. ეს უკანასკნელი მიე-

თავისუფალი აზროვნების უნარი.

ეს იყო ჩვენი გამორჩეულად ძვირფასი და პატივსაცემი სტუმრების - ჯეიმსისა და კონის მესამე ვიზიტი ქუთაისში, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტში. გვსურს დეპარტამენტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის მადლიერება გამოვხატოთ ამ დეპარტამენტის ამერიკელი პედაგოგების მიმართ, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ლიტერატურის სიყვარულს ასწავლიდნენ სტუდენტებს. ისინი მუდამ მზად არიან ითანამშრომლონ ჩვენთან და გაგვიზიარონ ცოდნა-გამოცდილება ლიტერატურის სწავლების თვალსაზრისით, რაც უადრესად ფასეულია ჩვენთვის. ამასთან, ჯეიმს ტორსონი გულისხმიერებით დაგვთანხმდა უხელმძღვანელოს ჩვენი



კუთვნება მრავალფეროვანი ამერიკული კულტურის სრულიად განსხვავებულ სფეროს - წარმოშობით ამერიკელ მწერლებს. ლექცია-სემინარები მაღალპროფესიულ დონეზე იყო წარმოდგენილი და თითოეულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ისინი უადრესად ღირებულია მათთვის. ლექციები იყო არა მხოლოდ შემეცნებითი ხასიათის, არამედ სახალისოც.

გარდა ამისა, სტუდენტებს მიეცათ შანსი ენახათ და ჯიშთან ერთად განეხილათ რეი ბრედბერის ცნობილი დისტოპიური რომანის - ფარენჰაიტი 451-ის მიხედვით გადაღებული ფილმი. ეს გახლდათ ნამდვილად განსაკუთრებული ლექცია, რომელმაც სტუდენტებს განუვითარა წიგნისა და ფილმის შედარების, თითოეული დეტალის მიმართ ყურადღების გამახვილების და, რაც მთავარია,

დეპარტამენტის დოქტორანტის თამთა ამირანაშვილის სადოქტორო დისერტაციას დისტოპიური რომანის შესახებ. ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა დეპარტამენტის წევრებისათვის დაეუფლონ სადოქტორო დისერტაციის წერის თანამედროვე სტანდარტებს.

ჩვენთვის უდიდესი პატივია კონი და ჯეიმს ტორსონებთან მეგობრობა. მოუთმენლად ველოთ მათ მორიგ ვიზიტს 2017 წლის გაზაფხულზე. ასევე თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციას.

*თამარ კობეშავიძე*

**ასოცირებული პროფესორი  
ლიტერატურის მიმართულების  
ხელმძღვანელი  
ინგლისური ფილოლოგიის  
დეპარტამენტი**



# პოეზიის საღამო ინგლისური ენის ხალხში



ინგლისური ენის კლუბი მისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ხარისხის, საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებებით, სადაც ვლინდება სტუდენტების აქტიურობა, ნიჭი, მონდომება და მრავალმხრივი შესაძლებლობები. ისინი დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან კლუბის ღონისძიებებში, რაც მათი სტუდენტური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ღონისძიებები ეძღვნება ისეთ

მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორც არის პირველკურსელთა ინგლისური ენის კლუბში გაწვევიანება, ახალი წელი, გაზაფხულის დადგომა და მრავალი სხვა.

ამჯერად, ინგლისური ენის კლუბმა საპატიო სტუმრებსა და დიდ მეგობრებს - ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის პროფესორებს ჯეიმს და კონი ტორსონებს უმასპინძლა. პროფესორებს ინგლისური ენის დეპარტამენტთან ხანგრძლივი პრო-

ფესიული და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ და ისინი უკვე მესამედ ესტუმრნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მათ საინტერესო და მნიშვნელოვანი ლექციები და სემინარები ჩაუტარეს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებს ამერიკული ლიტერატურის შესახებ და აღნიშნეს, რომ აქ მათ გამოჩენული მსმენელი პყავთ.

სტუმრებისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო 18 მარტს გაიმართა და მას ესწრებოდნენ ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ენათა ცენტრის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი. სტუდენტებმა წაიკითხეს ისეთი გამოჩენილი და გამოჩენილი პოეტების მიერ შექმნილი ლექსები სიყვარულისა და გაზაფხულის თემაზე, როგორებიც არიან გალაკტიონ ტაბიძე, რობერტ ბერნსი და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისური ენისა და ლიტერატურის ეროვნებით თურქმა სტუდენტმა წაიკითხა ოთარ ჭილაძის ლექსი „ბარათი ისევ წვიმს“. გამოჩენილი იყო მეორე კურსის სტუდენტის მიერ ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი ჩარლზ მაკის ლექ-

სი „Love my love“. სტუდენტებმა ასევე შეასრულეს სიმღერები ფანდურისა და გიტარის თანხლებით, რამაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მათი მრავალმხრივი ნიჭი და აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

საღამოს დასასრულს პროფესორებმა სიტყვით მიმართეს აუდიტორიას. მათ გამოხატეს უაღრესად დადებითი ემოციები, სიბოლო და პატივისცემა ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტების, დამსწრე საზოგადოების და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მიმართ. მათ ასევე გამოთქვეს 2017 წელს კიდევ ერთხელ სტუმრობის სურვილი.

ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელებს. ინგლისური ენის კლუბი კვლავ აქტიურად გააგრძელებს მოღვაწეობას და კიდევ ბევრ ღამეს და გამოჩენულ დღეს აჩუქებს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუმრებს.

*მაია ვაწაძე*  
ინგლისური ფილოლოგიის  
დეპარტამენტი

# სტურუა შექსპირული საგყარო



2016 წელს უილიამ შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წელი შესრულდა. მსოფლიოს ინტელექტუალური და სახელოვნებო სამყაროს კვლადაკვალ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი რიგი ღონისძიებებით ხვდება ამ თარიღს. წლის ღონისძიებათა ნუსხაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროექტს, „სტურუას შექსპირული სამყარო“, რომლის მიზანაც გახლავთ სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის შექსპირის პიესათა ინტერპრეტაციის იმ მდიდარი და უნიკალური ტრადიციების გაცნობა, რომელიც ქართულ თეატრში რობერტ სტურუამ შექმნა.

პროექტს ხელმძღვანელობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დავით მაზიაშვილი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მრჩეველი საგანმანათლებლო-სამეცნიერო საკითხებ-

ში. ამ ეტაპზე პროექტი გათვლილია გორის, ქუთაისისა და ზუგდიდის საჯარო სკოლების უფროსკლასელებისთვის და ამავე ქალაქების უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის და მასში, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტთან ერთად, ჩართული იყო ქუთაისის პირველი, მეორე, მესამე, მეცხრე და ორმოდამეერთე საჯარო სკოლები.

პროექტს უმასპინძლა აკაკი წერეთლის სახელობის პირველმა საჯარო სკოლამ, რომელმაც უამრავი სახელოვანი მამულიშვილი აღუზარდა ქვეყანას. დიდი რეჟისორის შემოქმედებასთან მოსწავლეებისა და სტუდენტების გაცნობა ამ სკოლის მდიდარი ტრადიციების ღირსეული გაგრძელებაა.

პროექტის „სტურუას შექსპირის სამყარო რეგიონებში“ მიზანი გახლავთ შემდეგი: ა) უილიამ შექსპირის შემოქმედებისა და რობერტ სტურუას შექსპირი-

სეული ინტერპრეტაციების, როგორც ქართული შექსპირიანას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის პოპულარიზაცია საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში.

ბ) სკოლის მოსწავლეთა შორის უილიამ შექსპირის შემოქმედებაზე დაყრდნობით კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების გამოუმუშავება;

გ) სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სახელოვნებო ინსტიტუტების თანამშრომლობის გადრმავეება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვიდეოგამოფენა, გაიმართა ლექციები, მოეწყო შეხვედრა რუსთაველის თეატრის წამყვან მსახიობ, ქალბატონ ლელა ალიბეგაშვილთან და რობერტ სტურუას შექსპირული დადგმების ვიდეოჩვენება. პროექტის ფარგლებში მონაწილეებმა სტურუას ოთხი სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი იხილეს: „ჰამლეტი“, „რიჩარდ მესამე“, „მეთორმეტე ღამე“ და „მეფე ლირი“.

პროექტი ქუთაისში დასრულდა. შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებმა და სტუდენტებმა რობერტ სტურუას შექსპირის სამყაროში ასახული, მათ-

თვის საინტერესო თემების ირგვლივ უნდა შექმნან ესეე. საუკეთესო ნამუშევრებს გამოავლენს სპეციალური ჟიური და ისინი კრებულის სახით გამოიცემა. პროექტის დამაგვირგვინებელ აკორდს კი მაისის ბოლოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში რობერტ სტურუასა და პროექტის მონაწილეთა შეხვედრა წარმოადგენს.

ხსენებული პროექტი მოსწავლეთათვის უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის როგორც შექსპირის ტექსტების, ასევე თეატრალური დადგმების შესწავლას და შემდგომში კვლევას. ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობს ახალგაზრდების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას. ასევე თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციას.


*ელისო ფანცხავა*

ასოცირებული პროფესორი  
ინგლისური ფილოლოგიის  
დეპარტამენტი





# ქართველოლოგიის შესავალი



ქართველოლოგია ზოგადი ხასიათის მეცნიერული დარგია. იგი მოიცავს ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტუროლოგიის ძირითად საკითხებს. შესავალი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნი „ქართველოლოგიის შესავალი“, როგორც სასწავლო დისციპლინის, საკვლევი თემატიკის, სწორედ მისი სინთეზური ბუნება განსაზღვრავს ამ საგნის განსაკუთრებულ შემეცნებით

ლირებულებას სასწავლო პრაქტიკაში. მეორე მხრივ, რამდენადაც „ქართველოლოგიის შესავალი“, სხვა საენათმეცნიერო დარგებისაგან განსხვავებით, სწრაფად აირეკლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურის სფეროში, მეცნიერებაში მიმდინარე ცვლილებანი, ამდენად, აუცილებელია, ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის კვალიფიკაციისას თავიჩინოს მეცნიერული სიახლე დროულად აისახოს და მისაწვდომი გახდეს მკითხველისათვის. „ქართველოლოგიის შესავალი“ საუნივერსიტეტო საგანია, რომელიც პირველად შემოღებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1986 წლიდან. ქუთაისის უმაღლეს სასწავლებელში კი იგი ისწავლება 1990 წლიდან. სასწავლო კურსს უძღვებოდა ქართული ენის კათედრის წევრი, ამჟამად ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულების ემერიტუსი პროფესორი ქალბატონი **ჟუჟუნა ფეიქრიშვილი**. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ სტუდენტთათვის სახელმძღვანელოდ დაამტკიცა ჟ. ფეიქრიშვილის მიერ შედგენილი სალექციო კურსი „ქართველოლოგიის შესავალი“, რომელიც 1992 წელს დაიბეჭდა წიგნად სახელწოდებით „ქართველოლოგიის საკითხები“. ეს იყო საქართველოს მასშტაბით ერთადერთი სახელმძღვანელო ამ საგანში. წიგნმა იმთავითვე დაიმსახურა სტუდენტთა და სპეციალისტთა მოწონება. ვინც ქალბატონი ჟუჟუნა ფეიქრიშვილის სტუდენტი ყოფილა ან მასთან ერთად უმუშავია, ალბათ, იცნობს კიდევაც მისი მუშაობის პრინციპს – მისთვის არ არსებობს ამოწურული და ბოლომდე შესწავლილი საკითხი, იგი მუდმივად სიახლის ძიებაშია (რაც იგრძნობა კიდევ მის ნაშრომებში). წლების განმავლობაში იგი ახალი მასალებით ამდიდრებდა წიგნში განხილულ საკითხებს და შედეგად არ დააყოვნა – 2015 წელს დაიბეჭდა „ქართველოლოგიის შესავალი“ მეორე შეესწავლილი გამოცემა (რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნონა მამისიშვილი**, რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **როზა დევედარიანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ნუგზარ ბარდაველიძე**). ახალი სახელმძღვანელო ემყარება ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითად ნაშრომებს, გათვალისწინებულია თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგები. თითოეულ თავს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია. გარდა იმისა, რომ წიგნის მეორე გამოცემაში პროგრამული საკითხები ახლებურად დამუშავდა, შეივსო ახალი საინტერესო მასალებით, მას აგრეთვე დაემატა ზოგადი ინფორმაციის თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ნაწილი – „ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ“. ნაშრომს დართული აქვს დოკუმენტური მასალაც (სქემები და სურათები). წიგნი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი ნათელი, დახვეწილი სტილით. ამიტომაც, რომ ისეთი რთული

და პრობლემატური საკითხები, როგორცაა პრეკარტული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნონა მამისიშვილი**, რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **როზა დევედარიანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ნუგზარ ბარდაველიძე**). ახალი სახელმძღვანელო ემყარება ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითად ნაშრომებს, გათვალისწინებულია თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგები. თითოეულ თავს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია. გარდა იმისა, რომ წიგნის მეორე გამოცემაში პროგრამული საკითხები ახლებურად დამუშავდა, შეივსო ახალი საინტერესო მასალებით, მას აგრეთვე დაემატა ზოგადი ინფორმაციის თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ნაწილი – „ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ“. ნაშრომს დართული აქვს დოკუმენტური მასალაც (სქემები და სურათები). წიგნი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი ნათელი, დახვეწილი სტილით. ამიტომაც, რომ ისეთი რთული


და პრობლემატური საკითხები, როგორცაა პრეკარტული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნონა მამისიშვილი**, რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **როზა დევედარიანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ნუგზარ ბარდაველიძე**). ახალი სახელმძღვანელო ემყარება ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითად ნაშრომებს, გათვალისწინებულია თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგები. თითოეულ თავს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია. გარდა იმისა, რომ წიგნის მეორე გამოცემაში პროგრამული საკითხები ახლებურად დამუშავდა, შეივსო ახალი საინტერესო მასალებით, მას აგრეთვე დაემატა ზოგადი ინფორმაციის თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ნაწილი – „ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ“. ნაშრომს დართული აქვს დოკუმენტური მასალაც (სქემები და სურათები). წიგნი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი ნათელი, დახვეწილი სტილით. ამიტომაც, რომ ისეთი რთული

და პრობლემატური საკითხები, როგორცაა პრეკარტული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნონა მამისიშვილი**, რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **როზა დევედარიანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ნუგზარ ბარდაველიძე**). ახალი სახელმძღვანელო ემყარება ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითად ნაშრომებს, გათვალისწინებულია თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგები. თითოეულ თავს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია. გარდა იმისა, რომ წიგნის მეორე გამოცემაში პროგრამული საკითხები ახლებურად დამუშავდა, შეივსო ახალი საინტერესო მასალებით, მას აგრეთვე დაემატა ზოგადი ინფორმაციის თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ნაწილი – „ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ“. ნაშრომს დართული აქვს დოკუმენტური მასალაც (სქემები და სურათები). წიგნი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი ნათელი, დახვეწილი სტილით. ამიტომაც, რომ ისეთი რთული

**თამარ ნინიძე**  
ქართული ენის მიმართულების სპეციალისტი

## მეგრული ტექსტები

(ხობი, ქვემო ქვალონი)



გამოვიდა ჩემი მეგობრის, აწსუ ასოც. პროფესორის, ეკა დიდიანის, წიგნი „მეგრული ტექსტები (ხობი, ქვემო ქვალონი)“ წიგნში წარმოდგენილი მასალა 1993-2005 წლებშია ჩაწერილი. მოგვსვენებათ, ეს წლები საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულესი პერიოდია (პოლიტიკურად, სოციალურად, ეკონომიკურად...) მაშინ ჩვენ ასწუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ვიყავით და გვევალებოდა ეთნოგრაფიული, დიალექტოლოგიური და ფოლკლორული ტექსტების მოძიება, ჩაწერა, მაქსიმალური სიზუსტით გადმოწერა. ისე, რომ ჩვენი მასალა სანდო ყოფილიყო ეთნოგრაფთა, ფოლკლორისტთა და ენათმეცნიერთათვის. ამისათვის კი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ტ. ფუტკარაძე მართლაც ფუტკარით შრომობდა და ჩვენგანაც იმავეს მოითხოვდა, ტარდებოდა სემინარები, გარდა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა, წინამორბედა გამოცემების განსახილველად, ეწყო ბოლო კონფერენციები თბილისიდან სპეციალურად მოწვეული მეც-

ნიერების მონაწილეობით... რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ენათმეცნიერთა, ფოლკლორისტთა და ეთნოგრაფთა საერთაშორისო სიმპოზიუმს „ქუთაისური საუბრები“. მასალას კასტრებზე ბატარეებიანი მაგნიტოფონებით ვიწვრდით. მოპოვებული ტექსტების გადმოწერა უმუქობის გამო, თითქმის, შეუძლებელი იყო, ამიტომ ჩვენმა მეგობარმა, ამჟამად ასწუ პრორექტორმა შალვა კირთაძემ და მისმა მეგობარმა (შემდგომ ჩვენმა თანამშრომელმა) იმედა ლომიძემ ჩვენთვის საგანგებოდ შექმნა დიდიდი აკუ მულატორი. იმ დროს, თითქმის, არ არსებობდა ტრანსპორტი და ფეხით გვიწვევდა სიარული, მაგრამ სამეგრელოს ჯგუფისთვის განსაკუთრებით რთული იყო მხედრიონის თარემის დროს მასალის მოძიება. ეს ყოველივე ვფიქრობ, გარკვეულ შთაბეჭდილებას შევიქმნი, თუ რა პირობებში ჩაწერილი მასალა თავმოყრილი წიგნში. არანაკლებ მძიმე შრომა გასწია ავტორმა მონოგრაფიის პირველი თავის - სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებაზე მუშაობისას, რადგან, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსგავსი მასალა ადრე არავის ჰქონდა გაკეთებული. ამიტომაც ეკას საკმაოდ დრო დასჭირდა სარქივო დოკუმენტების, პრესის მოძიებას და შესწავლისათვის, ამდენად შესანიშნავი 8 გვერდიანი გამოწველივითი ისტორიის შექმნით, მან საქართველოს ერთი სოფლის ისტორია გამოიტანა სამზოვზე. ნაშრომი 600 გვერდიანია და ჩაწერილი ტექსტების აუდიო კასეტაც ახლავს თან, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ქმნის მას. წიგნი შედგება: წინასიტყვაობის,

შესავალის (რომელიც შედგება 2 პარაგრაფის - სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება, 2. სოფლის მეტყველების თავისებურებანი) და დართული ტექსტებისაგან, რომელიც თავის მხრივ შეიცავს 10 ქვეპარაგრაფს: 1. სოფლის ისტორია, ონომასტიკა, 2. სოფლის მეურნეობა, 3. დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები, 4. წეს-ჩვეულებები, 5. საოჯახო საქმიანობა, 6. საკმელ-სასმელი, 7. მედიცინა, 8. გარესამყარო, 9. სხვადასხვა ამბები, 10. ზეპირსიტყვიერება. წიგნს ახლავს დანართი, რომელშიც განთავსებულია მთქმელთა (რესპოდენტთა) მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები და საძიებელი. გილოცავ მეგობარო, მრავალწლიანი შრომის წიგნად გამოცემას, თუმცა ეს მხოლოდ წიგნი არაა, იგი საქართველოს ერთი სოფლის (ყოფა-ცხოვრების, ფოლკლორის, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულების...) მისი მაცხოვრებლების (ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის - წარსულის, აწმყოსა და მომავალი ხედვის ერთობის) და მათი ხმის უკვდავყოფაა. შენ უბრალო ადამიანებს, სამეგრელოს ამ სოფლის უსახელო უფლისციხელებს, ძეგლი დაუდგე. ვულოცავ აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელსა და მთავაგეს, იმ პერიოდში აწსუ-ს რექტორს პროფესორ მაგალი თოდუას, ამავე ინსტიტუტის დირექტორს, სულისხამდგემელსა და ჩვენს მასწავლებელს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს, ვულოცავ მშველ ჩვენს თანამშრომელს, რადგან ეს მარტო შენი კი არა, ჩვენი წიგნიცაა. გილოცავ!!!

ლუიზა საჭაპურიძე

## ჰავლა ბაბუნაშვილის ხსოვნა



*ხვალემ სიქვას, მე დღეს არ ვიტყვი, თქვენი ბრწყინვალე ღიადება, ვერც ბნელი, ვერც სიკვდილი თქვენს დეაწლს ვერ შეეკიდება. გიორგი ლეონიძე.*

ნაწილე ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომელი **ჰავლე ბაბუნაშვილი**. იგი უნივერსიტეტის (მაშინდელი პედინსტიტუტის) პროფკავშირების ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ასისტენტად მუშაობდა. იბრძოდა ვოროშილოვგრადში, სამწუხაროდ, ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ კავკასიის მისადგომებთან დაიღუპა. დაიღუპა 2-ნი პავლე მძაც, გრიგოლი, რომელიც სოფელ დიშში მუშაობდა მასწავლებლად და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ჰავლე ბაბუნაშვილს დარჩა მეუღლე და ქალიშვილი - ქალბატონი მედეა ბაბუნაშვილი, რომელიც წლებია ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელია. მშვიდი, გაწონასწორებული, შრომისმოყვარე თავისი საქმის მცოდნე ქალბატონი მედეა უნივერსიტეტის სტუდენტთა არაერთ თაობას ასსოვს და უყვარს. ბატონი ჰავლეს კერაზე კი ცხოვრებას აგრძელებენ მისი შვილშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც უფროსი ხელობის დირსეული წინაპრის ხსოვნას.

ლელა ჩოგოვაძე

ორფაოსული სხივი (ნიკოლოზ ჯანელიძის ბიოგრაფიის გვირგვინი)

ნიკოლოზ ჯანელიძე, ჯანესის სახელით ცნობილი, იმ საქმეებითაა...

და ძალდაუტანებლად წამოაგონებოდა მსგავსი ეპიზოდი აქაური...

სი სრულყოფილი პორტრეტიც არ წარმოსახულიყო, კოლორიტული, კანთიელი...

ღერეა, მითუფრო თვალნათლივი ხედებოდა, რომ თურმე კიდევ...

მატეულ ნაშრომთა შორის. ასეთი მეცნიერული თხზულების შექმნა...

როსტომ ჩხეიძე

ჯანელი - ქართველი ემიგრანტი



ფილოლოგიის დოქტორის მარია მარჯანიშვილის მონოგრაფია „ჯანელი - ქართველი ემიგრანტი“...


ღრმად და საფუძვლიანად ანალიზებს მეორე მსოფლიო ომის დროს...

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. კერძოდ, მონოგრაფია მთლიანად ეძღვნება...

რუნდა სამშობლოს. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მარია მარჯანიშვილის...

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

კონსტანტინე იმედაშვილი - 90



ვარულითა და პატივისცემით იხსენებენ პროფ. კონსტანტინე იმედაშვილს...

და მექანიზმების თეორიის საერთაშორისო ფედერაციის IFTOMM-ის...

ლი სტუდენტები სიამოვნებით იხსენებენ, თუ როგორ ხსნიდა იგი მანქანათა...

პროფ. კონსტანტინე იმედაშვილი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გამო იყო...

ზურაბ ცინცაძე





„ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელება“

# პროფესორ მიხეილ ალავეძის არღვიანობა (ცხოვრება და ღვაწლი)

დაბადებიდან ასი წლისთავი  
(იხილეთ გვერდები 10-11)



დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, ენათმეცნიერსა და ლიტერატურათმცოდნეს, ქართული კულტურის მემკვიდრეს, შრომის ვეტერანს, ქ. ქუთაისის საპატიო მოქალაქეს მიხეილ ნესტორის ძე ალავეძეს.

პროფ. მიხეილ ალავეძე 80 წლის ასაკში, 1996 წლის 27 სექტემბერს, ტრაგიკულად დაიღუპა. მანამდე, 1996 წლის 13 მაისს, გამოიცა ქალაქის მერიის განკარგულება, რომლის თანახმად, ქ. ქუთაისში უნდა აღნიშნულიყო ბ-ნი მიხეილის დაბადების 80 წლისთავი. წარდგენილი იყო ღირსების ორდენზე, მაგრამ მოულოდნელი შემთხვევის გამო იუბილე ჩაიშალა და ვერც მისი იუბილე იხეიმა ქ. ქუთაისმა და აღარც ბ-ნი მიხეილ ალავეძე დაჯილდოებულა ღირსების ორდენით.

იმ დღეებში ქუთაისის პრესა გამოთქვამდა გულისტკივილს, რომ ბ-ნი მიხეილ ალავეძე დააკლდა არა მარტო თავის ოჯახს ან უნივერსიტეტს, არამედ მთლიანად ქ. ქუთაისსა და ასევე ქუთაისის პრესას, სადაც სიცოცხლის განმაფლობაში თანამშრომლობდა.

პროფ. მიხეილ ალავეძე დაიბადა 1916 წლის 24 მაისს ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში (ლენხუმში). პირველდაწყებითი განათლება თავის სოფელში, საშუალო და უმაღლესი განათლება კი ქ. ქუთაისში მიიღო. 1931 წელს ქუთაისის მესამე შვიდწლიანი დაამთავრა, 1938 წელს კი – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ბ-ნი მიხეილ ალავეძის თანაკურსელები იყვნენ: ლადო ასათიანი, ნელი დუმბაძე, შოთა ქურდიე, გიორგი შალამბერიძე და სხვები. სტუდენტობის მიხეილ ალავეძე სწავლობდა წარჩინებით. იყო სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის აქტიური წევრი. ამ წრეს ხელმძღვანელობდა ბ-ნი ვარლამ

თოფურია. წრის მუშაობას წარმართავდნენ აკაკი შანიძე, გიორგი როგავა, გიორგი ახვლედიანი, შოთა ძიძიგური, სერგი ჟღენტი. ამ წრემ რამდენიმე მეცნიერი, მწერალი და ჟურნალისტი აღზარდა. სწორედ ამ წრეში წარადგინა ბ-ნმა მიხეილ ალავეძემ ლენხუმის სოფლებში შეკრებილი და განმარტებული რამდენიმე ასეული დიალექტური სიტყვა. ამის გამო მან ინსტიტუტის დირექტორის მადლობა და ფულადი ჯილდოც დაიმსახურა. მეოთხეკურსელი სტუდენტის პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი „ლენხუმური ლექსიკონი“ გურულ და იმერულ ლექსიკონებთან ერთად 1938 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა ვუკოლბერიძის რედაქციით. იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი დიალექტური ლექსიკონები, ცალკეული პირებისაგან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ასეთი მასალების შეგროვებას, აღნუსხვასა და გაანალიზებას, ახალგაზრდა მიხეილ ალავეძე ამ საქმის ერთ-ერთ პიონერად მოეწონა თავის ქვეყანას. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი საქმე, რადგან ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ლენხუმურის შესახებ მეტად მცირე ცნობები მოიპოვებოდა. ამ კუთხით მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედება ჯერ არ იყო ჩაწერილი და დამუშავებული. მეცნიერმა ამ კუთხით მუშაობა კვლავ განაგრძო და „მისმა გამოკვლევებმა ლენხუმურ დიალექტს საკუთარი ადგილი მიუჩინა ქართულ კილოთა შორის“ (ლ. კვანტალიანი).

სტუდენტობის წლებში ბ-ნი მიხეილი გატაცებული იყო პოეზიით. მან რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ლექსიც კი გამოაქვეყნა. 1938 წელს ქუთაისის პედინსტიტუტის წარმატებით (სპეციალობით პედაგოგი) დასრულების შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში წერდა: „განვიცდი უღრმეს ადრთოვანებას. ინსტიტუტმა მომცა დიდი მარაგი. შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა და სწავლა კვლავ მომავალს ეკუთვნის.“ პედაგოგიურ ინსტიტუტში საქმიანობა მან დაიწყო ქართული ენის კათედრის გამგის, შემდეგში აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობითა და დახმარებით. 1938 წლიდან ის იქვე მუშაობდა ასისტენტად, შემდეგ უფროსი მასწავლებლის, დოცენტისა და პროფესორის თანამდებობებზე. 1985-1990 წლებში ბ-ნი მიხეილ ალავეძე მუშაობდა ქართული ენის კათედრის გამგედ. ამავდროულად ის დანიშნული იყო საზოგადოებრივ საწესისებზე შექმნილი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის მეცნიერ ხელმძღვანელად, შემდეგ კი ქართული ლიტერატურის ისტორი-

ის კათედრასთან არსებული ქუთაისის ლიტერატურული წარსულის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროს მეცნიერ მუშაკად. 1990 წლიდან ბ-ნი მიხეილ ალავეძე დაინიშნა აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის კონსულტანტად.

პროფესორი მიხეილ ალავეძე კითხულობდა ქართული გრამატიკის, სტილისტიკისა და დიალექტოლოგიის კურსებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1952 წლიდან არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

1955 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის ლენხუმური ლექსიკა“.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო იყო პროფ. მ. ალავეძის მეცნიერული მოღვაწეობის სფერო, მან თავისი ნაწერებით დრმა კვალი გაავლო, შეავსო და გაამდიდრა ქართული ლექსიკოგრაფია. ამასთანავე, მისი მეცნიერული საქმიანობა ლექსიკოგრაფიაში მარტო ლენხუმური დიალექტის კვლევით არ შემოფარგლულა. ის მეცნიერულად აანალიზებდა დასავლურ დიალექტებს და აკეთებდა მათს სრულ და ზუსტ აღწერით ანალიზს, დიალექტოლოგიურ მასალას სწავლობდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით, საფუძვლიანად და სიღრმისეულად იცნობდა ქართველურ ენათა ლექსიკასა და ტოპონიმიკას. „იკვლევდა ქართულ-ზანურ და ქართულ-სვანურ სუბსტრატთა პრობლემებს, იმერულ, რაჭულ და ლენხუმურ დიალექტთა ურთიერთმიმართებას“ (ლ. კვანტალიანი).

დასავლური დიალექტების შესწავლას ეძღვნებოდა პროფ. მ. ალავეძის გამოკვლევები ქართველი მწერლების ლექსიკის შესახებ („დ. კლდიაშვილის ლექსიკონი“, „დ. გელოვანის ლექსიკონი“, „ნ. ლორთქიფანიძის ლექსიკონი“). პროფ. მ. ალავეძის მიერ შედგენილი ამ მწერალთა თხზულებების ლექსიკონები დართული აქვს აქ დასახელებული მწერლების თხზულებათა აკადემიურ გამოცემებს. მნიშვნელოვანია პროფ. მ. ალავეძის მიერ შედგენილი ლექსიკონი „ლენხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი“ (დაბეჭდილია აღ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში, ტ. XVIII, 1958, გვ. 147-154). ლექსიკონის სახით აქვს წარმოდგენილი „ლენხუმის ტოპონიმიკა“ (ლადო ასათიანის ერთტომეულიდან, თბ., 1979), სადაც მან ანბანზე გააწყო და განმარტა 40 ტოპონიმი და ჰიდრონიმი. ასევე მ. ალავეძეს ეკუთვნის „ქვემო რაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი“.

პროფ. მ. ალავეძის მიერ მოპოვე-

ბული დიალექტური ერთეულები სანდო პირველწეაროა და აუცილებელი და საჭიროა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. ეს მასალები შესულია ქართული ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონსა (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით) და აღ. დლონტის მიერ გამოქვეყნებულ „ქართულ კილო-თქმათა - სიტყვის კონაში“.

პროფ. მ. ალავეძე ხელმძღვანელობდა ლექსიკონების გამოცემას. მან არნ. ჩიქობავასთან ერთად გამოსცა ენათმეცნიერ ქეთევან ძოწენიძის კაპიტალური მონოგრაფია ზემოიმერული კილოკავის შესახებ და ასევე მისი ზემოიმერული ლექსიკონი, რომელსაც წაუძღვარა გამოკვლევა „ენათმეცნიერ ქეთევან ძოწენიძის ცხოვრება და მისი წვლილი ქართველოლოგიაში“.

პროფ. მიხეილ ალავეძის დამსახურებაა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ დიალექტურ წყაროთა ძიება და მასში დიალექტური მასალის გამოყოფა. სტატიაში „ქართული ენის საუნჯე“ ბ-ნმა მიხეილ ალავეძემ პირველმა სულხან-საბას საენათმეცნიერო ნაშრომს – პირველ ქართულ განმარტებით ლექსიკონს „პირველი ქართული დიალექტური ლექსიკონი“ უწოდა.

პროფ. მიხეილ ალავეძე იყო ის პიროვნება, რომელიც სიხარულით ხვდებოდა ყოველგვარ სიახლეს ლექსიკოგრაფიაში. 1974 წლის 2 აპრილს გაზეთ „ქუთაისში“ მან გამოაქვეყნა რეცენზია პროფ აღ. დლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის“ შესახებ.

აღსანიშნავია პროფ. მიხეილ ალავეძის დიდი სიყვარული ქართული ფოლკლორისადმი. ახალგაზრდობაში შეკრებილი გამოცანები, ანდაზები, ხალხური თქმულებები მან ცალკე წიგნად შეკრა და „ლენხუმური ზეპირსიტყვაობის“ სახელწოდებით გამოაქვეყნა. ფოლკლორისტები ამ წიგნს დღესაც სამაგიდო წიგნად მიიხსენებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფ. მიხეილ ალავეძე ლენხუმელი იყო. მას სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწვევტია კავშირი თავის რაიონთან. რაიონულ გაზეთებში აქვეყნებდა საინტერესო მასალებს, უყვარდა თავისი კუთხე, მაგრამ ქუთაისის სიყვარულში ბ-ნი მიხეილს ვერაფერს შეედრებოდა. სრულიად ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ 1947 წელს შეადგინა და გამოსცა ლექსთა კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისის“. ეს წიგნი ცხადყოფს აზრს, რომ „ნამდვილ „საყვარლო და სამამისო ხნიერ კერას ჰყავდა და ჰყავს ბევრი ნიჭიერი მეხოტბე“. ეს წიგნი „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციამ ქალაქის ხელმძღვანელობის

გაგრძელება მე-14 გვ-ზე

# პროფესორ მიხეილ ალავეძის არღვიანობა

დასაწყისი მე-13 გვ-ზე



თხოვნითა და რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით გამოაქვეყნა. „შემდეგ ეს ქუთათური წამოწვება დედაქალაქშიც მოიწონეს და გამოვიდა კრებული „ქართველი პოეტები თბილისს“, – წერს ბ-ნი მიხეილი ამ წიგნის წინასიტყვაობაში, – „ქუთაისზე შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა არა მარტო პოეზიის, არამედ პროზის, ხელოვნების, ისტორიისა და გეოგრაფიის დარგებშიც. შემოქმედთათვის ქალაქი ქუთაისი, როგორც მეცნიერული შესწავლისა და ქება-დიდების საგანი, მუდამ აქტუალური და ამოუწურავი თემა იქნება“. ბოლოს ეს წიგნი შევსებული სახით ბ-ნმა მიხეილ ალავეძემ 1995 წელს გამოაქვეყნა, მიუძღვნა გაერთიანებული საქართველოს პირვანდელი დედაქალაქის ათასწლოვან იუბილეს. წიგნი 12 სასტამბო თაბახია. აქ თავმოყრილია 62 ავტორის 170 ლექსი, მაგრამ ეს განახლებული კრებული პირველის განმეორება არაა. ის აღნაგობით განსხვავდება პირველისაგან. აქ ასახულია თემები: ძველი და ახალი ქუთაისი (წარსული და აწმყო), მისი უბნები, ინდუსტრიისა და კულტურის კერები, მოწინავე ადამიანთა ცხოვრება და ღვაწლი. ასევე წიგნში შევიდა ლექსები ფაზისის ანუ მდინარე რიონის, გარშემო მდებარე ბუნების, კულტურის ძეგლთა და უკვდავ ქართველ მეფეთა შესახებ.

პროფ. მ. ალავეძე რუსთაველოლოგი იყო. მან 30-ზე მეტი სტატია მიუძღვნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლის საკითხებს. გამოიკვლია და დაადგინა „ვეფხისტყაოსნის“ სათაურის მთარგმნელთა გვარები, იმსჯელა პოემის ფაბულისა და სიუჟეტის საკითხებზე, გააშუქა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და ენის ზოგიერთი უცნობი საკითხი, გაარკვია შოთა რუსთაველის ზედწოდება და სხვა მრავალი. პროფ. მ. ალავეძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების ქუთაის-გელათის სამეცნიერო სესია თემაზე: „თამარ მეფის საფლავის

პრობლემა“. აქ მ. ალავეძე არჩეული იყო სწავლულ მდივნად, მოხსენებაც გააკეთა და მუშაობაც ასახა. მ. ალავეძის დამსახურებაა, რომ მან გაზეთ „ქუთაისში“ სამჯერ დაბეჭდა საკითხი თამარ მეფის საფლავის შესახებ.

პროფ. მიხეილ ალავეძეს უყვარდა თავისი მშობლიური ენა, იღვწოდა ამ ენის სიწმინდისათვის. მანვე შეადგინა და გამოაქვეყნა სამახსოვრო გამონათქვამები ქართული ენის სადიდებლად.

განუზომელია პროფ. მ. ალავეძის ღვაწლი სიტყვის ეტიმოლოგიის კვლევის საქმეში. ამ საკითხს მან უამრავი სამეცნიერო სტატია მიუძღვნა და ნათელი მოაზრება არაერთი ტოპონიმისა და პიდრონიმის, ასევე ოიკონიმების კვლევას. გამოკვლევა „ქუთაისის ტოპონიმიკიდან“ მეცნიერმა ნაწილ-ნაწილ გამოაქვეყნა გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე, სადაც ავტორის მიერ ეტიმოლოგიურად არის გაანალიზებული ქუთაისის უბნები და ღირსშესანიშნავი ადგილები: „ბალახვანი“, „კახიანური“, „უქიმერიონი“, „ოქროს ჩარდახი“, „გოჭოურა“, „ჭომა“, „ჭახათა“, „ოდასკურა“, „კიბულა“, „ძელქვინი“, „ბაკისუბანი“, „საფინხია“, „ბუღვარდი“, მდ. „რიონი“, „ფაზისი“, ასევე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილის დასახელებანი.

მშობლიური კუთხისადმი ასეთი თავდადება და სამსახური, რაც პროფ. მ. ალავეძემ გამოავლინა ამ საკითხთა კვლევის დროს, არა მარტო როგორც ენათმეცნიერის, არამედ, როგორც მოქალაქის საუკეთესო მაგალითია სამშობლოს სიყვარულის გამოსავლენად.

ძალიან დიდი შრომა გასწია პროფ. მ. ალავეძემ ქართველ კლასიკოს მწერალთა შესახებ წიგნის შესაქმნელად. ამ წიგნს მან „ლიტერატურული წერილები“ დაარქვა. ეს წიგნი 1981 წელს გამოქვეყნდა მწერალ თ. ლანჩავას რედაქტორობით. ამ წიგნში შეტანილია ბევრი საინტერესო ნარკვევი, რომლებიც ახალ შტრიხს ჰმატებს საქართველოს სახალხო პოეტების გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. წიგნი იმითაა საყუ-

რადლებო, რომ შეიცავს ავტორის მიერ მოპოვებულ ბევრ უცნობ ფაქტობრივ მასალას და მისივე გაკეთებულ ფილოლოგიურ დასკვნას. ყველაზე მეტად საინტერესო ის არის, რომ ბ-ნი მიხეილი ახლოს იცნობდა ამ პოეტებს და არა მარტო მათ, არამედ მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ირაკლი აბაშიძეს, სიმონ ჩიქოვანს, სერგო კლდიაშვილს, დია ჩიანელს, ანდრია სინაურს და სხვას. ამიტომაც მხატვრული სიტყვის ამ ოსტატთა თხზულებების ენის შესახებ არაერთი ენათმეცნიერული ნაშრომი შექმნა მკვლევარმა.

მიხეილ ალავეძის კალამს ეკუთვნის მეცნიერული გამოკვლევები ალიო მაშაშვილზე, კარლო კალაძეზე, პოეტ შალვა კარმელზე, სერგო კლდიაშვილზე, რაჟდენ გვეტაძეზე. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ბ-ნი მიხეილის ღვაწლი ომში წასული და უკან არდაბრუნებული პოეტების სევერიან ისიანის, გიორგი ნაფეცვარიძისა და დავით პატატიშვილისადმი. მეცნიერი ცალკე იკვლევდა კონკრეტულ თემებს: ნიკოლოზ ბარათაშვილის ენის ხალხურობას, ილიასა და დედაენას და ვაჟას პოეტური ენის სინტაქსს (ფშაურ დიალექტიზმებს).

ცალკე თემაა პროფ. მიხეილ ალავეძის ღვაწლი პოეტ ლადო ასათიანისადმი. ისინი თანაკურსელები იყვნენ, ამასთანავე ორივე წარმოშობით ლენინგრადიდან იყო, მაგრამ „ერთი ნაადრევად ეწვია მარადისობას და ცოცხლად დარჩენილს დაუტოვა მასზე ფიქრი და საზრუნავი, რომ უკვდავეყო მისი სახელი“. ბ-ნმა მიხეილმა თავის ათეულობით სტატიაში დაადგინა ლადოს დაბადების წელი და ადგილი ქ. ქუთაისში, გაეცნო მისი ბავშვობის წლებს, გაიგო მშობლების ვინაობა და საქმიანობა, აღმოაჩინა ლადოს უცნობი დოკუმენტები, წერდა ლადოს სწავლის შესახებ სოფელ მალაქის შვიდწლედში, შემდეგ ქუთაისის პედინსტიტუტში, იქიდან გარიცხვის მიზეზებზედაც. მან ქართველ მკითხველს გააცნო ლადო ასათიანის შემოქმედება, პრესაში რამდენჯერმე აღნიშნა ლადოს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, საზოგადოების წინაშე წარმოაჩინა ლადოს ძმადნაფიცო. ერთი სიტყვით, როგორც ლადო ასათიანზე მიხეილ ალავეძის მიერ დაწერილი ნარკვევები მოწმობს, ბ-ნი მიხეილის გონებას არ სცილდებოდა „ფიქრები ლადო ასათიანზე“ და ის ითვლება ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთგულ მკვლევარად. ამ მხრივ ბ-ნი მიხეილის ღვაწლს ძალიან აფასებდა აკად. გიორგი ჯიბლაძე, რომელიც ასე წერდა: „არავის გაუკეთებია ლადო ასათიანის ხსოვნისათვის იმდენი არც ადამიანობის, არც დაფასების მხრივ, რამდენიც დღეს უკვე ცნობილია მეცნიერმა მიხეილ ალავეძემ გააკეთა თავისი საყვარელი მეგობრის შესახებ“. ეს გამონათქვამი „სამახსოვ-

რო გულისტქმის“ სახელწოდებით ჯერ კიდევ 1972 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“. ავტორი მიხეილ ალავეძის სტატიების შეკრებასა და ცალკე წიგნად გამოცემას მოითხოვდა. „მისი ყველა სტატია ერთად რომ შეკრა, საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოვა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს მონოგრაფია, რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს ცალკე წიგნად. სხვა ავტორი, უფრო ძლიერი, არ მეუღლება. მიხეილ ალავეძის სახით ლადოს ჰყავს მისი შემოქმედებისა და ცხოვრების ზუსტად მცოდნე, ენერგიული მკვლევარ-მეცნიერი, თან ცოცხალი მემატინე“. აკად. გიორგი ჯიბლაძის ეს სტატია განმეორებით 1996 წლის 15 იანვარს გადმობეჭდა გაზეთმა „იმერეთის მოამბე“.

პროფ. მ. ალავეძე პოეტ აკაკი წერეთლის მემატინე იყო. ექვს ათეულზე მეტი სტატია მიუძღვნა მეცნიერმა აკაკის რაჭა-ლენინში მოგზაურობას. მთელი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდა, სწავლობდა, აკეთებდა ახალ-ახალ დასკვნებს და ბოლოს მეცნიერული კეთილსინდისიერებით აცნობდა საზოგადოებრიობას უახლოეს მიღწევებს. 1990 წელს კი გამოაქვეყნა მონოგრაფია „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლენინში“. ეს წიგნი შეიცავს მდიდარ უცნობ ფაქტობრივ მასალას, შედგება ხუთი თავისაგან და განკუთვნილია საკითხავ წიგნად მკითხველთა ფართო წრისათვის.

ბ-ნმა მიხეილ ალავეძემ აკაკი წერეთლის პატივსაცემად 1912 წელს გამართულ დაბა ონის ზემო აქტიურად მონაწილე მესტვირეების, ზემო რაჭის სოფელ ფარახეთის მკვიდრთა: ზაქარია ერადისა და ლუკა ტოგონიძის ვინაობაც კი დაადგინა. მანვე გამოარკვია რაჭა-ლენინში აკაკის მოგზაურობის მომწიფობი კომიტეტის თავმჯდომარის, მეპურე მუშა იობა ისაკაძის, ვინაობა, რომელიც ამავე დროს სახალხო მოღვაწეც ყოფილა.

ბევრი რამ გააკეთა ბ-ნმა მ. ალავეძემ კინომცოდნე ვასილ ამაშუკელის ღვაწლის წარმოსახენად. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ქუთაისელი ვასილ ამაშუკელი დღეს კინომატოგრაფიის ფუძემდებელია და პირველ ქართველ კინომატოგრაფისტად ითვლება საქართველოში. 1912 წელს მან შექმნა პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლენინში“. ამის გამო საყოველთაოდ იქნა აღიარებული და მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ბ-ნმა მ. ალავეძემ იზრუნა დაკარგული კინოფილმის პოვნისათვის. რომ არა მ. ალავეძე, შესაძლებელია ამ კინოფილმისათვის ვერც მიეკვლიათ და დაღუპვას გადაეჩინათ პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოფილმი აკაკის მოგზაურობაზე. ვასილ ამაშუკელი ამას დიდად

გაგრძელება მე-15 გვ-ზე

# პროფესორ მიხეილ ალავეძის არღვიანობა

დასაწყისი მე-14 გვ-ზე

უმაღლესი მ. ალავეძეს და წერდა: „მე შვილი არა მყავს, მაგრამ შვილობილები მასუღდგმულებენ და მახარებენ. ნამდვილი შვილობა გამიწია მიხეილ ალავეძემ. მისი შეუნელებელი მზრუნველობა ჩემზე ქართველთათვის თვალსაჩინოა. საჭიროდ ვთვლი წერილობით გამოვხატო ჩემი მადლობა...“

ქართული პრესის მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ბ-ნმა მ. ალავეძემ პეტრე ჭაბუკიანს, როგორც საქართველოს ბუნების ქომაგს, კულტურის ძეგლთა ტრფიალსა და ისტორიკოსს, „კაც-ლეგენდას“, რომელმაც აღმოაჩინა დინოზავრის ნატრფიალი და თვითონაც „დინოზავრით გაავლო კვალი მეცნიერებაში“.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ბ-ნი მიხეილის ჩატარებული სამუშაო ფსევდონიმებისა და კრიპტოგრამების ამოხსნისათვის. სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ფსევდონიმებსა და კრიპტოგრამებზე მუშაობდა პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი, რომელიც საჭირო საქმედ თვლიდა ფსევდონიმების ლექსიკონის შედგენას. როცა პოეტი, როგორც იუბილარი, 1960 წელს, უკანასკნელად ესტუმრა ქუთაისს, სწორედ მაშინ ურჩია ახალგაზრდა მიხეილ ალავეძეს, დაემუშავებინა ფსევდონიმების ლექსიკონისათვის მასალა. „ფსევდონიმებზე მუშაობა მეტად დიდ გარჯას მოითხოვს, – წერდა ი. გრიშაშვილი. წარსული კულტურის შესწავლა და გამოყენება ჩვენი თაობის საპატიო მოვალეობაა

და, აჰა, ფართოდ გადაშლილი ლიტერატურული ყაბახი. ვისაც გული ერჩის, აქვს უნარი, ფხა, ცოდნა, ინტუიცია, მოვიდეს და დაგვეხმაროს ამ დიდ საქმეში ჩვენი მშობლიური ლიტერატურისა და მეცნიერების ასაყვავებლად“. ბ-ნმა მიხეილმა დავალება შეასრულა და 1969 წელს გაზეთ „ქუთაისში“ გამოაქვეყნა სტატია „ლიტერატურული ფსევდონიმები“, სადაც მეცნიერის მიერ არაერთი ფსევდონიმი ამოხსნილი.

ბ-ნი მ. ალავეძე იყო ის პიროვნება, ვინც 60-ზე მეტი წელი თავის საყვარელ საქმეს, ენათმეცნიერულ კვლევას, მატინური ჟანრის თხზულებების შექმნას, საგაზეთო და საჟურნალო სტატიების წერას მორიდობდა. თუ ამას დაემატებოდა მის საზოგადო მოღვაწეობას, მაშინ მართლაც ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ჩვენს მეცნიერს. ასეთი მეცნიერის შესახებ წერდა უნივერსიტეტის დოცენტი დავით ჯანელიძე:

„ფილოლოგიის ჯომარდო, ორბო, ლეჩხუმის მიწისა, ზოგ-ზოგი გრამატიკოსი შენთან ვამსგავსე წიწილსა“. ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრე ბ-ნი მიხეილი მწერალთა კავშირის პერიოდულ გამოცემებში სისტემატურად მონაწილეობდა და გაზეთ „ლიტერატურულ ქუთაისში“, „ქუთაისში“, „სტალინელში“, ჟურნალ „რიონში“, შემდეგ „განთიადში“ აქვეყნებდა საინტერესო წერილებს.

პროფ. მ. ალავეძე საუკეთესო ორატორი იყო. ის ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით სამეცნიერო ფორუმებსა და სესიებზე და ყოველთვის მსმენელთა ინტერესს იმსახურებდა.

პროფ. მიხეილ ალავეძე იყო ყველა სტუდენტისათვის საყვარელი ლექტორი. ყველა სტუდენტის გვარი და სახელი ზეპირად იცოდა და სიას სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალის გარეშე ზეპირად კითხულობდა. ლექციაზე ზეპირი მეტყველებით იპყრობდა სტუდენტთა ყურადღებას. ხშირად მოჰყავდა ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“. იცოდა ბევრი ანდაზა და აფორიზმი, რომელთაც შეგნებულად ურთავდა თავის საუბარში სტუდენტთა აღსაზრდელად. ჰქონდა შესაშური მეხსიერება. დიდმა მეცნიერმა ანგია ბოჭორიშვილმა მას „ფენომენალური მეხსიერების ტიპი“ უწოდა. აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ კი მასზე ასე დაწერა: „მიხეილ ალავეძე არავის ჰგავს და მიხეილ ალავეძეს არავინ ჰგავს.“

პროფ. მიხეილ ალავეძემ ქართული ენისა და ლიტერატურის ასეულოობით სპეციალისტი აღუზარდა სამშობლოს. დღეს დასავლეთ საქართველოში იშვიათია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელსაც ბ-ნი მიხეილი არ ასწავლიდა.

პროფ. მიხეილ ალავეძის თავდაუზოგავი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ის ქუთაისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მას მიღებუ-

ლი ჰქონდა მრავალი ჯილდო. იყო საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწე, შრომის ვეტერანი, ატარებდა მედალს „მამაცური შრომისათვის“ 1941-1945 წლებში. ასევე, სამკერდე ნიშანს „სახალხო განათლების წარჩინებული“. სადოქტორო დისერტაციის დაუცველად ბ-ნი მ. ალავეძეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ პროფესორობა მიანიჭა. არაერთხელ აღნიშნეს მისი 60-65-70-75 წლების საიუბილეო თარიღები, თუმცა 80 წლის იუბილეს აღნიშვნა აღარ დასცალდა. ყველაზე დიდი ჯილდო, რაც ბ-ნი მ. ალავეძეს ერგო ამჟამინამდე, იყო უნივერსიტეტის სტუდენტების, მისი აღზრდილების, ლექტორ-მასწავლებლების, ქუთაისის ინტელიგენციის დიდი სიყვარული და პატივისცემა.

მოულოდნელად, ტრაგიკულად გარდაიცვალა პროფ. მ. ალავეძე.

1996 წლის 11 ოქტომბერს გაზეთი „ახალი ქუთაისი“ წერდა: 3 ოქტომბერს ჩვენი საზოგადოებრიობა გამოეთხოვა ცნობილ მწერალსა და ენათმეცნიერს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მიხეილ ალავეძეს. ბ-ნი მიხეილ ალავეძე დაკრძალეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მწვანეყვავილას პანთეონში – ბ-ნი მიხეილის ტერმინით, – „ქუთაისის მთაწმინდაზე“.

იზოლდა რუსაძე

## „მადლობა მას, ვინც მიხეილ ალავეძეს სიყვარულით მოიგონებს“

ქუთაისი, უქიმერიონის გორა, ჩვენი ძველი სახლი და ბაბუა. მიხეილი. ეს სახელი ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ადამიანი, რომელიც წარმოუდგენელი ენერჯისა და სიმტკიცის დაუმრეტელ წყაროდ წარმომიდგება. საინტერესო პიროვნება, საოცრად შრომისმოყვარე, სიცოცხლის მოყვარული და ყველასადმი უანგარო.

გარდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, რომელიც მისი პიროვნების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა, ბაბუა ზედმიწევნით ყურადღებიანი იყო ოჯახურ ცხოვრებაში. ჩვენზე ზრუნვას ბევრნაირად გამოხატავდა. თავისი გამუდმებული ფიქრის სამყაროში ის ჩვენ დიდ ადგილს გეითმობდა. ახლაც მახსოვს მისი ბევრი თვისება: საკუთარი შრომისმოყვარეობისა და ფიზიკური მუშაობის შედეგად ეზო-კარი სამაგალითოდ მოვლილი ჰქონდა. დილაობით მზესთან ერთად იღვიძებდა და დგებოდა, მოივლიდა ეზო-გარემოს, შინაურ ფრინველებს დააპურებდა, ნათესებს მორწყავდა, ნაქარ ხილს აკრეფდა, ფოთლებისაგან მიწას საგულდაგულოდ გაწმენდა. თუ საჭირო იყო, სამუშაოებს გაამრავალფეროვნებდა. ან ღობეს გასხვებდა, ან ნარგავებს მიწას შემოაყრიდა. ეზოში ჩვეულ ფუსფუსს საუზმე, ცოტაოდენი დასვენება და ხანგრძლივი წერითი მუშაობა ცვლიდა. უყვარდა, როცა გაწვეულ შრომას შეეუფასებდით, შეეუქებდით ნახელავს.

საათობით მუშაობდა თავის საწერ მაგიდასთან. იქვე იგრძნობოდა, რომ კარს მიღმა ბაბუა განუმორებელი აზროვნებისა და მეხსიერების ლოგიკურ დასკვნებს ანდობდა თეთრ თაბახს. დიახ, მისი აზრების პირველი მესაიდუმლე თეთრი თაბახი იყო. მიშკო მისთვის დამახასიათებელი წერის მანერით ქარგავდა სიტყვებს. კალიგრაფიული წერის კულტურა საოცარი სულით ტვირთავდა მის ნაშრომებს. ერთი შეხედვითაც კი ზედმიწევნით ღამაზად შექმნილი ხელნაწერები პატივისცემით განგაწყობდა ავტორისადმი. ჩვენ კი, მის შვილიშვილებს, მუდამ გვახსოვდა, როცა მიშკო მუშაობდა, ბავშვებისთვის დამახასიათებელი მხიარულება თამაშის დროს ცოტათი უნდა დაგვეთმო.

ბაბუას უყვარდა თავისი საქმე. შინაგანი მოწოდება აძლევდა დიდ სტიმულს და ენერჯის, რომელიც ღრმა მოხუცებულობამდე კვებავდა მის პიროვნებას. როცა დაგვეტოვა და წავიდა ჩვენგან, 80 წლისა იყო. თითქოს თვალწინ ძალზე ხნიერი და უძღური მოხუცებული უნდა დამიდგეს, მაგრამ ძნელია, ბაბუა ასე, წლებისაგან მოღლილი, წარმოვიდგინო. ის ბევრს ემასსოვრება სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ყმაწვილივით შემართული, ახოვანი, ენერჯიული, გადამდები სიცილისა და პოზიტიური განწყობის, უბადლო მეხსიერებისა და უანგარო სულის მქონე.

ღრო გავიდა საკმარისზე მეტი, მაგრამ ბევრი რამ მაგონებს მის თავს, თუნდაც ის, რომ უბრალოდ თენდება. ზოგჯერ დილაობით კარზე მოაკაკუნებდა, გამომიხმობდა და სახლის აღმოსავლეთ ნაწილში, ფანჯარასთან, მიმიყვანდა, სადაც ქუთაისის ხედი იშლებოდა, პორიზონტზე ჯერ კიდევ მძინარე ქალაქის თავზე წითლად ამოწვერილ ვეებერთელა მზეს დამანახებდა და ამით განთიადის ჯადოსნურ სანახაობას მაზიარებდა. ამ სილამაზით შეაყრობილი მეტყოდა: „შეხედე, კესარია, რა ღამაზი სანახავია, უკეთესი რა უნდა არსებობდეს“. მე მხოლოდ გვიან დავაფასე ასეთი სიტყვების მნიშვნელობა, როცა გავიზარდე, როცა მისი დანაკლისი უფრო მწვავედ აღვიქვი. ის ყოველ დღეს სიხარულით ხედებოდა. ასეთი წუთებით მან მარტო განთიადის სილამაზე როდი მანახა, ამით ბაბუამ ყოველი ახალი დღის სიყვარული მასწავლა.

ჩვენი მიშკო ალბათ ამ რწმენით ცოცხლობდა ყოველთვის, ყოველი დღე უყვარდა და ცდილობდა, ის სასარგებლოდ გაესრულებინა.

მადლობა მას, რომ იყო ჩვენ გვერდით, მადლობა მათ, ვინც მას სიყვარულით მოიგონებს.

შვილიშვილი კესო იოსელიანი

# „ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელება“



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ბ-ნი მიხეილის შთამომავლებთან ერთად საფლავის ყვავილებით შემკობის შემდეგ მწვანეყვავილას პანთეონში.

20 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორ-მასწავლებლებმა, ახალგაზრდა მეცნიერებმა და პროფ. მიხეილ ალავიძის შთამომავლებმა დაბადების 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად მწვანეყვავილას პანთეონში ყვავილებით შეამკეს ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის, უნივერსიტეტის პროფესორ მიხეილ ალავიძის საფლავი. პანთეონში სიტყვები წარმოთქმეს და ბ-ნი მიხეილი სიყვარულით მოიგონეს პროფესორებმა: მარინა ქაცარავამ, ტარიელ ფუტყარაძემ, ომარ გვეტაძემ, ლუკა დვალიშვილმა, თენგიზ გუმბერიძემ, პროფესორ მიხეილ ალავიძის შვილიშვილმა ეკატერინე იოსელიანმა და სხვებმა. გადაიღეს სამახსოვრო სურათები. იყო ცრემლები, გულსტკივილი, სინანული და სიყვარული, პატივისცემა გარდასულ დღეთა...

იმევე დღეს 12 საათზე უნივერსიტეტის ხალხმრავალ საკონფერენციო დარბაზში გაიხსნა პროფ. მ. ალავიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ლექტორ-მასწავლებლებისა და სტუმრების გარდა, მიუხედავად გამოცდების მიმდინარეობისა, ბოლომდე ესწრებოდნენ სტუდენტები. საიუბილეო ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა

უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა გიორგი დავთაძემ. მოხსენება „პროფ. მიხეილ ალავიძის ცხოვრება და დედაწლი“ წაიკითხა ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორმა, ბ-ნი მიხეილის ყოფილმა სტუდენტმა იზოლდა რუსაძემ. პროფესორი მიხეილ ალავიძე თავიანთ მოგონებებში გაიხსენეს პროფესორებმა იაკობ კუჭუხიძემ, ოთარ ჩხეიძემ, გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რედაქტორმა, ასოცირებული პროფესორმა გია ხოფერიამ, ბ-ნი მიხეილის შვილიშვილებმა ეკატერინე და კესარია იოსელიანებმა, უახლოესმა ნათესავებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა ფეხზე წამოდგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ახლადგარდაცვლილი ქეთევან დეკანოზიშვილის ნათელ ხსოვნას, რომელმაც იზრუნა მიხეილ ალავიძის მიერ ლადო ასათიანზე დაწერილი სტატიების ცალკე წიგნად გამოცემისათვის და განიხილა პოეტის ლექსები.

კონფერენციის მსვლელობის დროს დარბაზში უჩვენებდნენ ბ-ნი მიხეილის ფოტოსურათებს კლასიკოს მწერლებთან, კინორეჟისორებთან, მის გამოსვლებს რესპუბლიკურ კონფერენციებზე, მასზე საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლების გამოხატულებებს, ბრძანებებსა და მერიის


განკარგულებებს ბ-ნი მიხეილის დაჯილდოების, ქუთაისის საპატიო მოქალაქედ არჩევისა და ღირსების ორდენზე წარდგენის შესახებ, ბ-ნი მიხეილის გამოცემულ წიგნებს...

პროფ. მიხეილ ალავიძის მიერ ჩატარებული მრავალმხრივი სამეცნიერო სამუშაოების, გამოცემული წიგნების შესახებ სიღრმისეულად ისაუბრეს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა: მარინა ქაცარავამ, ლუკა დვალიშვილმა, რუსუდან საღინაძემ, ლეოლა აბზიანიძემ, თამარ ლომთაძემ, ნორა ნიკოლაძემ, ომარ გვეტაძემ, ლეოლა ჩოგოვაძემ, ნინო ფხაკაძემ, მანან ჭიჭინაძემ, თენგიზ გუმბერიძემ, ტარიელ ფუტყარაძემ, რომლებმაც ამავე დროს სიყვარულით მოიგონეს 20 წლის წინ ტრაგიკულად გარდაცვლილი 80 წლის ბ-ნი მიხეილი, რომელიც, რომ არა უბედური შემთხვევ

ლექტორ-მასწავლებლების ძალისხმევით გამოცემულია პროფ. მ. ალავიძის რამდენიმე ნაშრომი. კერძოდ, პროფ. მ. ალავიძე, ცხოვრება და დედაწლი, ბიობიბლიოგრაფია; ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ნარკვევები; ლადო ასათიანის ცხოვრება და შემოქმედება. 100 წლისთავის საიუბილეოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით გამოიცემა პროფ. მ. ალავიძის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა.

3. 2016 წლის 10 ივნისს, 12 საათზე უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სამეცნიერო კონფერენცია: „პროფ. მ. ალავიძე – 100“.

კონფერენციის დასასრულს ყველას დიდი სითბო დაუტოვა გულში ეკატერინე და კესარია იოსელიანების მიერ ბაბუას ხსოვნის პატივსაცემად შესრულებულმა სიმღერამ ირაკლი



პროფესორ მიხეილ ალავიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოსა და პროფესორ-მასწავლებლებთან სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე სხდომის წევრების დროს.

ვა, შეიძლება, დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. ამაში მას არა მარტო მაშინდელი ჯანმრთელობა, არამედ წინაპართა სიცოცხლის ხანგრძლივობაც ხელს უწყობდა. მისმა მშობლებმა დრმა მოხუცებულობამდე იცოცხლეს, ბაბუა კი დედის მხრიდან – წყალობა ხუციძე 120 წლის გარდაიცვალა.

ლექტორ-მასწავლებლებთან სამეცნიერო კონფერენციაზე გამოიკვეთა მეტად სასიამოვნო და საყურადღებო საკითხები:

- 1. ბ-ნი მიხეილ ალავიძის ოჯახის ნეპაყოფლობით პროფ. მიხეილ ალავიძის არქივი გადაეცემა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს.
- 2. უკვე ცალ-ცალკე წიგნებად ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტების

აბაშიძის ლექსზე „როგორც დათბება“. კონფერენციის მონაწილეთა და სტუმრებისათვის გაიმართა საზეიმო სადილი. ეს იყო ძალიან გულთბილი ღონისძიება, საიუბილეო საღამო, სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც არასდროს დაავიწყდება იქ მყოფ საზოგადოებას.

ლელა ჩოგოვაძე

**P.S. 10 ივნისს უნივერსიტეტის „მწვანე დარბაზში“ გაიმართება პროფ. მიხეილ ალავიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.**



ბ-ნი მიხეილის შვილიშვილები: ეკატერინე და კესარია იოსელიანები.

მისამართი რედაქტორი **გია სოფრია**  
რედაქტორის მოვალეობა **ლელა ჩოგოვაძე**  
კორექტორები **თამარ გუგუშვილი**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პაპარაია**

ჩვენი მისამართი: ქ.თბილისი, თამარ მეფის ქ. №59  
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94  
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიქცო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com